ნეკროლოგი

კახა კაციტაძე - მოქალაქე ფილოსოფოსი
1959-2012

გარდაიცვალა კახა კაციტაძე, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფართო დიაპაზონის ჰუმანიტარი, სამხედრო საქმის თეორეტიკოსი და ექსპერტი.

კახა კაციტაძის სახით ქართულმა ჰუმანიტარულმა აზრმა დაკარგა მეცნიერი, რომელიც საკუთარ თავში აერთიანებდა კლასიკური ევროპული ტრადიციის თითქმის ყველა ნიშანს - სულიერ სიღრმეს, არაჩვეულებრივ მეხსიერებასა და მჭვრეტელობის გამორჩეულ ნიჭს.

ამავე დროს, ის იყო არა მხოლოდ ფილოსოფოსი, არამედ შესანიშნავი ფილოლოგიური კულტურის მქონე მოაზროვნე, რაც საკმაოდ იშვიათი მოვლენა გახლავთ. მას შეეძლო ნაშრომი დაეწერა (და წერდა კიდეც!) ჰაიდეგერის, ნიკო მარისა და ტოლკინის ენობრივ სამყაროებზე. მისი ერთ-ერთი ბოლო ნაშრომი კი ხელოვნებისა და ყოფიერების ურთიერთმიმართებას ეძღვნება.

ცალკე საუბრის თემაა ომისა და საბრძოლო ხელოვნების თემა კახა კაციტაძის სააზროვნო სივრცეში. გარდა ფუნდამენტური „სტრატეგიის საფუძვლებისა“ (2008 წ.), სიცოცხლის ბოლო წლები მან მეომარი ადამიანის ისტორიულ-ფილოსოფიურ კვლევას შეალია. მას თავისი ნაშრომი ოთხ ტომად ჰქონდა ჩაფიქრებული. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ავტორმა დაბეჭდილი სახით მხოლოდ პირველი ტომი იხილა. ამ მრავალტომეულს „Homo Militaris“

ეწოდება. აქვე შევნიშნავთ, რომ კახა კაციტაძის არქივში მრავალი დამთავრებული თუ დაუმთავრებელი ნაშრომია. ახლა, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ამ არქივის სისტემური დამუშავება და მისი დანატოვარის ღირსეულად გამოცემა.

ერთი-ორი სიტყვით უნდა ვისაუბროთ კახა კაციტაძეზე, როგორც ლექტორზე. ქართულ კულტურაში ხშირად ხდება, რომ მოაზროვნეს, რომელიც ნაყოფიერია და ბევრს წერს, ხშირად ზეპირი სიტყვა არ უჭრის ხოლმე; ხდება პირიქითაც, როცა ზეპირი სიტყვის დიდოსტატები წერას თავს არიდებენ. კახა კაციტაძე ორივე ნიჭს შესანიშნავად ფლობდა: მას შეეძლო ხელშესახებად და ნათლად წარმოეჩინა როგორც მარტინ ჰაიდეგერისა თუ ლუდვიგ ვიტგენშტაინის ფილოსოფიური სამყარო, ისე - სუნ-ძის საომარ სტრატეგიათა ლაბირინთი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია კახა კაციტაძის დამოკიდებულება სიტყვისა და ლიტერატურისადმი. საქმე ისაა, რომ მას კალამი არა მხოლოდ მეცნიერებისათვის უჭრიდა, ის, ამავე დროს, მხატვრულ ტექსტებსაც ქმნიდა. ამ ტექსტებში მისი ჰუმანიტარულ-ფილოსოფიური და ლინგვისტურ-ეტიმოლოგიური ინტუიციები შესანიშნავი პაროდიული სტილით იყო შეზავებული თანამედროვე პოლიტიკური რეალიების აღწერასთან.

დაბოლოს, კახა კაციტაძე იყო მოქალაქე ამ სიტყვისა და მოვლენის ძველი ბერძნული გაგებით. თავისი მოქალაქეობრივი პოზიციითა და პოლიტიკური პუბლიცისტიკით ის ბნელ დროში ადამიანური ღირსებისა და სულიერი სიმამაცის ნათელი მაგალითი გახლდათ.

ზაზა შათირიშვილი

OBITUARIES

The Editorial Board of *Kadmos* express their deepest sorrow over the passing of their distinguished colleagues:

Kakha Katsitadze (1959-2012): Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Doctor of Philosophy, a researcher with broad interests, a military theorist and expert.

Leri Mchedlishvili (1936-2013): Philosopher, Professor of Formal Logic, Dean of the School of Governance and of Social Sciences in Free University (Tbilisi).